99!

ძვირფასო რედაქცია,

მე ვარ მუსიკოსი, პროფესიით ეთნომუსიკოლოგი.ჩემი მეუღლე იყო ნუგზარ ჟორდანია. ჩემს ოჯახს ნოე ჟორდანიასთან ახლო ნათესაობა აკავშირებდა .ბატონმა რევაზებმა საქართველოში პირველად ჩამოსვლისთანავე მოგვძებნა და სახლში გვესტუმრა, შემდეგ დაუკავშირდა დანარჩენ ჟორდანიებს(არც ისე ბევრნი ვართ) და ყველანი სახლში მიგვიწვია.

ბატონ რევაზებთან ხანგრძლივი მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა აქვს ჩემს მაზლს---იოსებ ჟორდანიას, რომელიც ცხოვრობს ავსტრალიაში, არის სერიოზული მეცნიერი, პროფესორი, მსოფლიოში ცნობილი ეთნომუსიკოლოგი, მრავალი წიგნის ავტორი.., ეს სტატია ბატონმა რევაზებმა სოსოს დახმარებით მოგვაწვდინა. ასე, რომ, თუ რამეს დაწერთ, ჯობის იოსებ ჟორდანია ახსენოთ, მით უმეტეს, რომ სტატია ინგლისურიდან ქართულად მან თარგმნა.

პატივისცემით, **მარინა კვიჭინაძე.**

ნიუ-იორკი, 2017 წლის 26 მაისი

დღეს შესრულდა 99 წელი!! დიახ, თითქმის საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც მამაჩამმა, ნოე ჟორდანიამ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისს! თითქმის აღარავინ არაა ცოცხალი, ვინც უკვე დაბადებული იყო იმ დროს, და რა თქმა უნდა, არავინ არაა ცოცხალი, ვისაც რამე მაინც ემახსოვრება იმ დროის მოვლენებიდან. ჩემი უფროსი და ნათელა, რომელიც დაიბადა თბილისში 1918 წლის ნოემბერში, გარდაიცვალა შარშან, 98 წლის ასაკში. ასევე შარშან გარდაიცვალნენ ჩემი უკანასკნელი თანამედროვეები, კლოდ დე კემულარია და ზეინაბ ქედიაზურაბიშვილი. 95 წლის ასაკში მე ვარ უკანასკნელი პირდაპირი შთამომავალი იმ დიდებული ხალხისა, რომლებმაც შექმნეს ჩვენი პირველი რესპუბლიკა. მე დავიბადე პარიზში იმ წელს, როცა ჩვენი ქვეყანა დაპყრობილ იქნა წითელი არმიის მიერ, და როცა ქართული მთავრობა, საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილების შესაბამისად, წავიდა ემიგრაციაში თავისუფლებისათვის ბრძოლის გასაგრძელებლად.

26 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველომ ჩამოიბერტყა კომუნისტური უღელი, გახდა დამოუკიდებელი, და აღადგინა 26 მაისი, როგორც ჩვენი ეროვნული დღესასწაული. მაგრამ ჩემთვის, და ყველა უფროსი თაობის ქართველთათვის, რომლებაც საბჭოთა ოკუპაციის 70 წელი ემიგრაციაში გაატარეს, თითქმის საუკუნეა გასული!

ვიზრდებოდი პარიზში 30-იან წლებში, და კარგად მახსოვს, რომ 26 მაისი იყო წლის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი დღე, ჩემთვის და ყველა ჩემი თანატოლი პატარა ქართველისათვის. ეს იყო დღე, როცა ყველა სამშობლოს მოწყვეტილი ქართველი, მიუსედავად მათი პარტიულობისა, რელიგიისა, სქესისა თუ შეხედულებისა, იკრიბებოდა ყველა ერთად, სადღესასწაულოდ და დარდიანი მოგონებების გასახსენებლად. ძალიან პატარა ასაკიდან მახსოვს, რომ ამ

▶▶▶ გვ-3

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 24 (10218), 19 ივნისი, 2017 წ. ფასი 50 თეთრი.

ატრაქციონების პარკ „ციცინათელასა“ და მინიატურების პარკ „საქართველო მინიატურებში“ 2017 წლის სეზონი გაიხსნა

ალიონი. გასულ ხუთშაბათს, 15 ივნისს, 18 საათზე ატრაქციონების პარკ „ციცინათელასა“ და პარკ „საქართველო მინიატურებში“ წლევანდელის სეზონის ოფიციალური გახსნის ცერემონია

▶▶▶ გვ-2

ავტომობილები განვადებით

იმპორტი-2“ გთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ჩამოყვანას აშშ, ევროპის და იაპონური (მარცხენა საჭე) სადილერო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველადი შესატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადანაწილდება მაქსიმუმ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს შიდა 0% განვადება. უპრეცენდენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე **ტელ. 595 11 10 30, ზურა, მისამართი: 26 მაისის ქ.№ 11ა**

კოკისპირულმა წვიმამ ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის მთლიანი ფონდის 40 პროცენტი დააზიანა

თემურ მარშანიშვილი

თუ ჭედითი ღონისძიებები არ გატარდა, დანარჩენსაც იგივე ბედი ელის

„10 ივნისის კოკისპირულმა წვიმამ ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში მთლიანი ფონდის 40 პროცენტი დაზარალა. ეს არის ძირითადად მუზეუმში დაცული ხელნაწერები და ფოტომასალა, ასევე მუყაოს ყუთები, რომელშიც განთავსებული იყო არქეოლოგიის ძირითადი ნაწილი. ამინდს კარგი პირი არ უჩანს და თუ ჭედითი ღონისძიებები არ გატარდა, დანარჩენსაც იგივე ბედი ელის“, – გვითხრა შემთხვევის ადგილზე მისულებს მუზეუმის დირექტორმა **გოგა ტრაპაიძემ.**

როგორც ცნობილია, მუზეუმის შენობის მარცხენა ფრიგელში შპს „კომფორტი -2005“ ფოლკლორის ცენტრის სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებს. პარასკევს, 9 ივნისს მშენებლებმა, შენობაზე ბეტონის სახურავის ზედა შრის მოხსნამდე, ფონდის მასალები რომ ინახებოდა, ის ადგილი გადახურეს, თუ როგორ – სურათზე ჩანს. თუმცა, ესეც რომ არ გაეკეთებინათ, ზარალი გაცილებით დიდი იქნებოდა. ვერაფერი ნუგეშია ისიც, რომ სახურავზე ახალი ბეტონის მოსხმა თითქმის დასრულეს, რადგან ვერავინ იძლევა იმის გარანტიას, რომ სრულყოფილად დამთავრებამდე მასში წყალი არ გაატანს.

ოზურგეთში ფოლკლორის ცენტრის აშენებით დიდი საქმე კეთდება, მაგრამ ისე არ უნდა მოხდეს, რომ ერთი დიდი საქმის გაკეთებას, მეორე, უკვე გაკეთებული დიდი საქმე შეეწიროს.

ნურავინ გვიწყენს, მაგრამ, ასეთ სიტუაციაში, ალბათ (ალბათ კი არა, აუცილებლად) მეტი სიფრთხილე მართებდათ და მართებთ,

როგორც სამინისტროსა და ქალაქის ხელისუფლებას, ასევე მშენებლებს, რადგან ეს მუზეუმია, ჩვენი კულტურაა, ჩვენი ისტორიაა და არა ჩემი სახლი ანასეულში ბოლო, მეხუთე სართულზე, სადაც ხან სახურავზე ვარ და ქარიშხლისაგან დაგლეჯილ თუნუქს ვასწორებ, ხან კიდევ ტაშტებით დავრბივარ ოთახ-ოთახ, ქვემო სართულზე მეზობლებს წვიმის წყალი რომ არ ჩაუვიდეს და ზემოთ არ ამომივარდნენ.

მეგობრებო, არ გირჩევთ სწრაფი სესხის გამოტანას „ლიბერთი ბანკიდან“

ორი თვეა, რაც „ლიბერთი ბანკიდან“ სწრაფი სესხი ავიღე ათას ხუთასი ლარის ოდენობით. ორი დღეც არ იყო გასული, ტელეფონით მკითხეს (ალბათ, სათავო ოფისიდან) კმაყოფილი ვიყავი თუ არა. შეკითხვით ცოტა დაბნეულმა ვუპასუხე, რატომ უნდა ვიყო უკმაყოფილო-მეთქი და თურმე მწარედ შევცდი. უნდა ვიყო და მერე როგორ!

პირველი გადასახადი 113 ლარის ოდენობით უმტკივნეულოდ გადავიხადე. აი, მეორეზე კი, ჟარგონისთვის ბოდიში და, ხათაბალა ავიკიდე თუ ამკიდეს. 10 ივნისს, შაბათს უნდა დამეფარა, 9 ივნისს ფული სრულყოფილად არ მქონდა, თორემ მეორე დღისთვის რატომ გადავდებდი. მოკლედ, 10-ში, შაბათს, 16 საათისათვის მივაკითხე

▶▶▶ გვ-2

ატრაქციონების პარკ „ციცინათელასა“ და მინიატურების პარკ „საქართველო მინიატურებში“ 2017 წლის სეზონი გაიხსნა

შედგა.

„ციცინათელას“ კომპლექსი თავისი მეთერთმეტე სეზონის პირველ დღეს უფასოდ მოემსახურა 18 წლამდე ასაკის ყველა სტუმარს. ატრაქციონების პარკი სტუმრებს 15 სექტემბრამდე მოემსახურება ყოველდღე, 18.00 საათიდან 00.00 საათამდე.

— „ციცინათელა“ და „საქართველო მინიატურებში“ გაშენებულია ფონდ „ქართუს“ ინიციატივითა და დაფინანსებით და ორივე გადაცემულია სახელმწიფოსთვის 100%-იან საკუთრებაში, „განაცხადა მედიასთან საუბარში ფონდ „ქართუს“ მენემენტ-სერვისის ხელმძღვანელმა **ბესო დემეტრაშვილმა.**

მინიატურების პარკი „საქართველო მინიატურებში“, რომელმაც ფუნქციონირება 2016 წელს დაიწყო, „ციცინათელას“ გვერდით მდებარეობს. პარკში წარმოდგენილია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და არქიტექტურული ღირსშესანიშნაობები მინიატურების სახით, რომელსაც უახლოეს მომავალში დაემატება რამდენიმე ძეგლის მინიატურა.

სეზონის გახსნასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციის ინიციატივით, ორივე პარკში დაპატიჟებულ სოციალურად დაუცველ ბავშვებს ჩაუტარდათ ლექცია მინიატურების პარკისა და ამ პარკში წარმოდგენილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ. ლექციის ბოლოს მოეწყო ვიქტორინა. გამარჯვებული ბავშვები დაჯილდოვდნენ სხვადასხვა სახის საჩუქრებით.

სტუმრებს სეზონის გახსნა მიულოცა გურიის გუბერნატორმა **გია სალუქვაძემ:**

— გილოცავთ წლევანდელი სეზონის გახსნას. ეს სეზონი აქ განსაკუთრებული იქნება თუნდაც იმიტომ, რომ „ციცინათელასთან“ ერთად, მოგემსახურებათ „საქართველო მინიატურებში“. ეს არის უნიკალური ეგზოტიკური პარკი როგორც შემეცნებითი, ისე ტურისტული თვალსაზრისით. აქ მოსული სტუმარი მიიღებს სრულ ინფორმაციას საქართველოს ისტორიულ ძეგლებზე, კულტურულ მემკვიდრეობაზე. ეს არის პარკი, რომელიც იტვირთებს ეროვნულ მისიას, რომელიც ერთ სივრცეში და მოკლე დროში გააცნობს სტუმარს საქართველოს ყველა კუთხეს როგორც ვიზუალურად, ისე ადათ-წესებით, — აღნიშნა გია სალუქვაძემ.

მეგობრებო, არ გირჩევთ სწრაფი სესხის გამოტანას „ლიბერთი ბანკიდან“

„ლიბერთი ბანკის“ ოზურგეთის ფილიალს, კარებშივე ზრდილობიანი უარით გამომისტუმრეს, შაბათობით 15 საათამდე ვმუშაობთო. მოხდა ისე, რომ კვირას ეს ჩემი სიმწრით შეგროვებული 113 ლარი „ვათხოვე“ მეზობელს, რომელსაც მოულოდნელად დედა გაუხდა ცუდად (ინსულტი მიიღო). ორშაბათს, სამსახურში დილით ახალმისულს, ზუსტად 10 საათზე მირეკავენ, რომ თუ დღეს ფულს არ შევიტანდი, ჯარიმა დამერიცხებოდა. გასაგებია, შევეცდები-მეთქი, ვუთხარი და მეზობელს გადავურეკე, ზეგამდე ვერაფერს მოგიხერხებო. აქეთ ვეცი, იქეთ ვეცი, მაგრამ ვერც მე გავახერხე ვერაფერი. ამასობაში სატელეფონო შეტყობინება „გამიშანშალეს“, რომ გადასახდელი მაქვს 129 ლარი და 96 თეთრი. სამშაბათს 20 საათისათვის 130 ლარი შევაგროვე და ოთხშაბათს დილით 10 საათსა და 35 წუთზე ბანკის კარები შევაღე. რომ იტყვიან, ნემსის ყუნწი არ ჩავარდებოდა შესასვლელში. ტალონის აპარატთან ძლივს მივაღწიე, მაგრამ რად გინდა, აშლილი ხუნდივით დამხვდა. შეფერხება, დღის მეორე ნახევარში შემოიარეო, ტაქტიანად ამიხსნეს. ასეც მოვიქეცი, 13 საათსა და 15 წუთზე „დავითრიე“ ტალონი, № 203 ვიყავი. ტაბლოებს გავხედე და უფრო მაღალი რიცხვები ეწერა უკვე. ვიფიქრე, ალბათ, რაიმე გაუგებრობაა-მეთქი და იქვე მდგომ ბანკის თანამშრომელ ახალგაზრდა კაცს ვკითხე. ეს ჯერ დილით გაცემული ტალონებია, ნაშუადღევისა ხუთასს შემდეგ დაიწყება და უნდა დაელოდოო. თუ მოვასწრებ-მეთქი? — გავიკირვე. როგორ გითხრათ, თუ გეჩქარებათ, აგერ, შეგიძლიათ ავტომატით ისარგებლეთო. ხელმძღვანელობის ნახვას ვერ მოვახერხებ? — სწრაფი სესხი მაქვს დასაფარავი და გასარკვევი მაქვს რაღაც-მეთქი, ჩავეკითხე. ხომ ხედავ, რამდენი ხალხიაო, უსიტყვოდ მითანაგრძნო. გამოვუტყდი, ავტომატით სარგებლობა კარგად არ ვიცოდი, თან თვალს მაკლდა. არ დამზარდა, დამეხმარა, იმის ოჯახს ააშენებს ღმერთი. და იცით, რამდენი გადავიხადე? 142 ლარი, 50 თეთრით მეტი, ვიდრე მეკუთვნოდა, რადგან 50 თეთრიანზე ნაკლებ ხურდა ფულს ავტომატი არ იღებს.

ახლა ვიცი მოიშველიებენ ხელშეკრულებას, რომელიც მსეხხებელთა ნახევარს არ ექნება წაკითხული ცალკე იმის გამო, რომ დროში იწვებიან, ცალკე კიდევ იმიტომ, რომ წაკითხვა პრაქტიკულად შეუძლებელია, იმდენად ვიწრო შრიფტით არის დაბეჭდილი. აღარაფერს ვამბობ ტექსტის გაუმართაობაზე.

ვალი რომ დროულად უნდა გადავიხადო და ამიერიდან გადავიხდი, ეს კარგად ვიცი, რაც არ ვიცი და რისი გაგებაც მსურს „ლიბერთი ბანკის“ ხელმძღვანელობისაგან, იმაზე მინდა პასუხი, რა თქმა უნდა, დროს თუ გამონახავენ:

— პატივცემულებო, თუ თქვენთვის შაბათი დღე ნახევრად სამუშაოა, რატომ უნდა დაერიცხოს ამ დღის ჯარიმა მთლიანად აბონენტს?

— რატომ უნდა შედიოდეს არასამუშაო, კვირა დღე ვადაგადაცილებაში.

— თუ ეს ასე არ არის, რატომ გადავიხადე 113 ლარის ნაცვლად, 142 ლარი?

— მე რამდენადაც მახსოვს, ამ ბანკს ადრე „სახალხო ბანკი“ ერქვა. იქნებ გადახედოთ, ან კოპენტენტურ პირს გადაახედოთ, ნამეტნავად გეომეტრიული პროგრესიის ხასიათისა ხალხზე გაუთვლელი ხომ არ არის თქვენი საჯარიმო სანქციები?

— ერთი, ხატზე ვერ დაგაფიცებთ, მაგრამ გულზე ხელი დაიდეთ და თქვით, რაც თქვენს ბანკში ხდება, იმას სერვისი ჰქვია?

ამ თემის საგაზეთოდ გამოტანას არამც და არამც არ ვაპირებდი, თქვენთან შეხვედრის შესაძლებლობა რომ მომცემოდა, მაგრამ გასულ დღეებში ეს პრაქტიკულად შეუძლებელი აღმოჩნდა.

ამიტომ, მთლიან საზოგადოებას ვერ ვაკადრებ, მაგრამ ნაცნობ-მეგობრებს ნამდვილად ვურჩევ, რომ თქვენგან არ გამოიტანონ სწრაფი სესხი. თუ რატომ? ამას ამ წერილითაც მიხვდება. თუ ვინმეს დამატებითი კითხვა გაუჩნდება, მზად ვარ, შემოვყვე თქვენს ბანკში ერთადერთი მიზნით — ზემოაღნინულ კითხვებზე კომპენტენტური პასუხის მისაღებად.

თემურ მარშანიშვილი.

სოფელ კონჭკათში რკინა-ბეტონის გზები იგება

კონჭკათის ადმინისტრაციულ ერთეულში დაზიანებულ საგზაო მონაკვეთებზე ბეტონის საფარი მოეწყობა.

100 გრძივი მეტრი ბეტონის გზა იგება ტუღუშების უბანში ღირებულებით - 36 000 ლარი, ასევე, მონასტრის უბანში 50 გრძივი მეტრი ღირებულებით - 6 634 ლარი.

სამუშაოები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ დაათვალიერა.

წელს კონჭკათში, სხვადასხვა უბანში, სულ 680 გრძივი მეტრი ბეტონის გზა დაიგება. სამუშაოების ჯამური ღირებულება 124 465 ლარს შეადგენს.

გამოცხადებულია ტენდერი, რომლის დასრულების შემდეგ გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ეწერის უბანში დაიწყება.

სოფელ ძიმითში ხანძრის შედეგად სახლი დაიწვა

სოფელ ძიმითში ანდღულაძეების სახლი დაიწვა. ცეცხლი, სავარაუდოდ ელექტროგაყვანილობას გაუჩნდა. მსხვერპლი არ არის. ადგილზე სახანძრო-სამაშველო სამსახურები იმყოფებიან. ანდღულაძეების ექვსსულიანი ოჯახიდან სახლში მხოლოდ ოჯახის უფროსი, ზურაბ ანდღულაძე იმყოფებოდა. დამწვარია მთლიანი შენობა, საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ავეჯი. შემთხვევის ადგილზე სახანძრო სამაშველო სამსახური გამოძახებიდან დროულად მივიდა, მიუხედავად ამისა, სახლის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ადგილზე იმყოფებოდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე და გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, გოჩა აბაშმაძე.

გამგებელმა დაზარალებულებს დახმარება აღუთქვა. ანდღულაძეების ოჯახს მუნიციპალიტეტის გამგეობა სამშენებლო მასალებს გადასცემს. გაეწევათ ფულადი დახმარებაც.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

— მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

— მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა — 150-150 ლარი;

— 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

— ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

— შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

— პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

— მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;

— სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

— გახსენება, ნეკროლოგი — სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით — 2 ლარი,
სამი თვით — 6 ლარი,
6 თვით —12 ლარი,
ერთი წლით — 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

99!

საზეიმო დღეს სპეციალურ ადგილზე თავსდებოდა ჩვენი სამფეროვანი დროშა, და ჩვენი სახელმწიფოს ელეგანტური და უბრალო ღერბი. და რა თქმა უნდა, ჩვენ ყველანი ერთად ვმღერობით ჩვენს ეროვნულ, ქართულ ჰარმონიებზე აგებულ ჰიმნს.

ეს ტრადიცია გრძელდებოდა საბჭოთა ოკუპაციის გრძელი პერიოდის განმავლობაში. და როდესაც, უკვე 1990 წელს, პირველ წელს, როცა მე შევძელი საქართველოში ჩამოსვლა, ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა აღდგენილი ვნახე ჩვენი სამფეროვანი დროშა, ძველი ღერბი, და ჰიმნი "დიდება". ჩვენი დროშა ფრიალებდა ყველა სახელმწიფო შენობაზე, საძულველი საბჭოთა დროშის მაგივრად. უფრო მოგვიანებით, ქართველმა პოლიტიკოსებმა გადაწყვიტეს, რომ ჩვენი სოციალ-დემოკრატიული დროშა შეეცვალათ ბაგრატიონების შუასაუკუნეების დროშით, რომელშიც ის მოქალაქეები, რომლებიც არ ეკუთვნიან მართლმადიდებლურ ეკლესიას, გამორიცხულები არიან; ძველი ჰიმნი თავისი ქართული კადანსებით შეცვალა ფალიაშვილის იტალიური სტილის ნაწარმოებმა - დიდებული მუსიკაა, თუმცა ქართული კონტექსტიდან ამოვარდნილად ჟღერს; ძველი უბრალო ღერბიც კი, რომელზეც ჩანდა ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი ზეცაში, ყაზბეგის მთის ზემოთ, შეცვალეს და ცოტა ზედმეტად გადატვირთეს სიმბოლოებით. კარგია, რომ თვით დამოუკიდებლობის თარიღი მაინც არ შეიცვალა, რაც ამტკიცებს დღევანდელი საქართველოს მემკვირდეობითობას 1918-1921 წლების რესპუბლიკასთან.

დიახ, თითქმის საუკუნის გავლის მერე აღარავინაა ცოცხლად, რომ ახსოვდეს ეს პერიოდი. თუმცა, საკმაოდაა დოკუმენტები, ნაწერები, ფოტოები, კინოფირები. უნდა ითქვას, რომ დღეს იგრძნობა გაძლიერებული ინტერესი ამ პერიოდისადმი, განსაკუთრებით ახალგაზრდა ისტორიკოსების თაობაში, რომლებსაც არა აქვს გავლილი ნეგატიური საბჭოთა პროპაგანდა. თუ გვინდა ვიგრძნოთ იმ პერიოდის ატმოსფერო, ალბათ არაფერი ჯობია მოვუსმინოთ მწერლის ინტერპრეტაციას:

თბილისი ნოე ჟორდანიას დროს

სამოქალაქო ომმა, რომელმაც გადაბუგა ათასობით კილომეტრი ტერიტორია რუსეთში, სრულებით გაწყვიტა კავშირი თბილისსა და მოსკოვს შორის. დამოუკიდებელი რესპუბლიკა დაიბადა საქართველოში, ლიბერალი მენშევიკის ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით. გარშემო მძვინვარებდა უბედურება, შიმშილი და ავადმყოფობა, მაგრამ კავკასიონის ქედის გადაღმა, თავისუფალი ქართველები, იქ მცხოვრებ სომხებთან, სპარსელებთან, რუსებთან, ბერძნებთან, და ებრაელებთნ ერთად ისხდნენ წაბლის ხის ჩრდილში, სვამდნენ ღვინოს და ლაღიძის წყალს, და მიირთმევდნენ ახალგამომცხვარ ლავაშს, ბოლოკს, მწვანილს, მწვადს, რაც სულაც არ იყო ცუდი ამ დროისათის, და როგორც ყოველთვის, აყოლებდნენ ნიგვზით მომზადებულ ქათმის საცივს, ლობიოს და თევზს ცხინვალიდან.

თბილისი გახდა მოწმე შემოქმედებითი ნიჭის საოცარი გაფურქვნისა. მაშინ, როცა დასავლეთის ფრონტზე ომი მძვინვარებდა, პოეტები და არტისტები სამხრეთისკენ გარბოდნენ, რომ თავიდან აეცილებინათ ომში გამოძახება, მერე გამოჩნდნენ ლტოლვილები, რომლებიც გაურბოდნენ თეთრებს, წითლებს, მწვანეებს... მოკლედ ყველა იმათ, ვინც ვერ ხვდებოდა, რომ მხოლოდ ხელოვნებაში მომხდარ რევოლუციას შეუძლია მსოფლიოს გადარჩენა, და არა ბანალურ არტილერიას, ვულგარულ ხანჯლებსა, ან უდიდეს მასიურ მკვლელებს, ტყვიამფრქვევებს.

პატარა თეატრები და ბოჰემური კაფეები გაიხსნა ყველგან. ფუტურისტი პოეტი ვასილი კამესნკი კითხულობდა თავის ეპიკურ პოემას ,,სტენკა რაზინი." ცხენზე ამხედრებული, ცირკის წრის გარშემო ჭენაობის დროს. სერგეი გოროდეცკიმ რბილად გააკრიტიკა დროებითი მთავრობა საკუთარ სიმბოლისტურ ჟორნალში. ნოე ჟორდანია გამოსახული იყო როგორც მოუქნელი და უნდობი თხა. ამ დაცინვის საპასუხოდ, პრემიერმა გაიღიმა თქვა, ,,პოეტები არიან!"

ტიციან ტაბიძემ, პოეტების ჯგუფის წევრმა, რომლებიც თავის თავს ,,ცისფერყანწელებს" უწოდებდნენ, მიაკითხა ქალაქის მერს გოლოვინსკის პროსპექტზე.

—,,მითხარი, ტიციან, რატომ დადიხართ შენ და შენი ახალგაზრდა ცოლი ჩემს ქალაქში ასეთი დაღვრემილი სახეებით?" ჰკითხა ტიციანს მერმა.

—,,არა გვაქვს ბინა, ბატონო მერო",—დაიჩივლა ტიციანმა, —,,ფული არა გვაქვს, რომ ქირა გადავიხადოთ".

ქალაქის მერმა ჯიბიდან გასაღები ამოიღო.

—,,ტიციან, მე ეხლახან მოვითხოვე ბინა ბიზნესმენების კლუბისათვის. იცხოვრეთ და იმუშავეთ იქ შენ და შენმა ახალგაზრდა ცოლმა, ოღონდ საქართველოს შენს ლექსს ნუ მოაკლებ."...

ყველაფერი იყო გასაოცარი თბილისში ამ სამწლიანი გაზაფხულის განმავლობაში. ნოე ჟორდანიას კიდობანი ტივტივებდა როგორც აყვავებული ყინულის კუნძული სისხლითა და სიბინძურით სავსე ზღვაში, ტიფის ეპიდემისა და სამოქალაქო ომის ზღვაში, და თან იგრძნობოდა, რომ კიდობანი შეიძლებოდა ყოველ წუთს ჩაძირულიყო. შესაძლოა ეს ყველაფერი სწორედ იმის გამო იყო ასე სანეტარო, რომ ასე ფაქიზი იყო. ყველას ჰქონდა მსუბუქი თვბრუსხვევის შეგრძნება....

1920 წლის ბოლოსათვის, ვერცხლის ეპოქა, რომელიც სამხრეთში ყვაოდა, თანდათან გაქრა, ალბათ უკან გაფრინდა თავის სათავეში, საბერძნეთის კუნძულებზე. საქარველოს რესპუბლიკა სასიკვდილო სარეცელზე იმყოფებოდა. 1921 წელს წითელი არმია შემოიჭრა, და თავისუფლებას ბოლო მოეღო.

(**ფ**რაგმენტი ამოღებულია ვასილი აქსიონოვის წიგნიდან **,,ზამთრის თაობები"**)

დიახ, თავისუფლებას ბოლო მოეღო. ჩვენი რესპუბლიკა ძალით შეიყვანეს საბჭოთა იმპერიაში, მაგრამ იგი, აღიარებული მსოფლიო საზოგადოების მიერ, მაინც განაგრძობდა ლეგალურ არსებობას წლების განმავლობაში, და არასოდეს შეუწყვეტია არსებობა ყველა ჩვენგანის შეგნებაში, ვინც კი საზღვარგარეთ ვცხოვრობდით. ეს არსებობა იყო მატერიალიზებული პატარა ტერიტორიაზე, ლევილში, პარიზთან ახლოს, ტერიტორიაზე, რომელსაც ,,პატარა საქართველოს" ვუწოდებდით, ტერიტორიაზე, რომელიც შეიძინა ემიგრაციაში წასულმა ქართულმა მთავრობამ 1925 წელს, ყველა ქართველის სახელით.

და აი, შარშან, თითქმის 90 წლის შემდეგ, ახდა ოცნება მამაჩემისა და მისი თანამოაზრეებისა, რომ რომ ოდესმე ლევილის ტერიტორია გამხდარიყო დამოუკიდებელი საქართველოს ნაწილი. ეს მოხდა 2016 წლის 23 სექტემბერს, როცა ლევილის სამფლობელოს მზრუნველებმა, რომლებიც უდიდესი სიფრთხილით უვლიდნენ ამ ადგილს თითქმის საუკუნის განმავლობაში, საზეიმოდ გადასცეს ლევილის ტერიტორიაზე სრული პასუხისმგებლობა ჩვენს სამშობლოს. როგორც ეს აღნიშნულია ტერიტორიის გადაცემის ლეგალურ დოკუმენტში, მალე დაიწყება მოშაობა, რომელიც აღადგენს და მოდერნიზაციას გაუკეთებს სამფლობელოს, და ამის შემდგომ იგი იარსებებს როგორც ჩვენი პირველი რესპუბლიკის მუზეუმი, და ფრანგულ-ქართული კულტურის ცენტრი.

ყველა ქართველი, მიუხედავად მათი პოლიტიკური შეხედულებებისა, უნდა ამაყობდეს, რომ საქართველო იყო მსოფლიოში პირველი სოციალ-დემოკრატიული ქვეყანა. მას შემდეგ, რაც გახდა საქართველოს შემადგენელი ნაწილი, ლევილის სამფლობელო ყოველთვის დარჩება ჩვენი ერის ისტორიის ამ მნიშვნელოვანი პერიოდის მოწმედ.

საქართველოს გაუმარჯოს!

რეჯებ ჟორდანია,
ნიუ იორკი, 26 მაისი, 2017 წ.

(მეტი ინფორმაციისათვის ლევილის შესახებ იხილეთ 1989 წელს გადაღებული გურამ შარაძის ვიდეო, სადაც შეგიძლიათ ნახოთ იქ ამ დროს მცხოვრები ძველი ემიგრანტები, მათ შორის ლევან ფაღავა, ვიქტორ ხომერიკი, პავლე ვაჩაძე, ლიდია ნასყიდაშვილი, ზეინაბ ქედია-ზურაბიშვილი და სხვები).

იუთუბეზე ეს ფილმი შეგიძლიათ ნახოთ ამ მისამართზე: **https://www.youtube.com/watch?v=qpYLdC6b3CU**

ცხოვრება ლევილში მეორე მსოფლიო ომის წინ: პოლკოვნიკი

პოლკოვნიკი წერეთელი იყო გადამდგარი ქართველი ოფიცერი, რომლის ყველაზე მნიშვნელოვან საქმიანობა შეადგენდა თამადობა უამრავ ქეიფებზე, რომლებიც ხშირად გრძელდებოდა შუადღიდან მზის ამოსვლამდე. უამრავი ღვინო ისმოდა ამ ქეიფების დროს, და პოლკოვნილი წერეთელი, რა თქმა უნდა, სმის ყველა რეკორდებს ხსნიდა, როგორც ეს უნდა მომხდარიყო კიდეც წარმატებული თამადის შემთხვევაში. ყოველივე ამასთან ერთად, ის არასოდეს არ თვრებოდა.

ყოვლისმცოდნე პოლკოვნიკის სახელი იყო ისიდორე, და თამადობასა და სხვა საქმეებს შორის იგი ასევე უძღვებოდა ბეჭდვის საქმეს. როგორც კი რაიმე იყო დასაბეჭდი, სწორედ იგი მუშაობდა ჩვენს პრიმიტიულ ლითოგრაფიულ დაზგაზე, სადაც ყველაფერი ხელით იყო ასაწყობი. როგორც ეს ხშირად ხდებოდა ხოლმე ადრე, დაზგა მოთავსებული იყო ფარღალალა ფარდულში პოლკოვნიკის მოძველებული ბინის გვერდით.

რამდენი სუფრა ჩატარებულა პოლკოვნიკის ბინაში წლების განმავლობაში! უზარმაზარი მაგიდა, ან მაგიდები, რომლის გარშემოც 30 ან მეტი მოქეიფე ჯდებოდა ყოველთვის უზადოთ გამოიყურებოდა, რადგან სუფრის გადასაფარებელი ყოველთვის იცვლიბოდა. ეს დიდ კონტრასტში იყო პოლკოვნიკის საწოლთან, რომელი საშინლად გომოიყურებოდა — მოჩვარული და დაჭყლეტილი. არც სამზარეულო იყო კარგ დღეში, ცარიელად გამოიყურებოდა, თუმცა აქ კეთდებოდა უამრავი ლობიო, საცივი, ხარჩო, ღომი და სხვა ქართული ტრადიციული საჭმელები.

სტუმრები ჩამოდიოდნენ პარიზიდან, რომელიც დაახლოებით 20 კილომეტრით იყო დაშორებული ლევილს, და მათ მოჰქონდათ საჭმელი და დასალევი, რადგან თვით პოლკოვნიკს არავითარი ფული არ ჰქონდა. მაგრამ ის, მას რაც ჰქონდა, ვერ იყიდიდი ვერავითარი ფულით - ეს იყო საოცარი სტუმართმოყვარეობა, მეგობრობის სული, და ისეთი საოცრად დიდი და კეთილშობილი გული, რომ მის ახლოს ყოფნისას, თუნდაც მასთან არ გელაპარაკა, ყოველთვის გრძნობდი რომ გახვეული იყავი იმ სითბოში, რომელსაც იგი მუდმივად ასხივებდა. აშკარად, სწორედ ამის გამო იყო რომ ბანკეტები ყოველთვის მასთან იმართებოდა. ეს ბანკეტები ზოგჯერ პარასკევიდან ორშაბათამდე გრძელდებოდა! სტუმრები მოდიოდნენ და მიდიოდნენ, მხოლოდ პოლკოვნიკი რჩებოდა შეუცვლელი თამადის როლში, როლში, რომელსაც იგი ასრულებდა საოცარი ბრწყინვალებით და ღირსებით.

ერთ დღესაც პოლკოვნიკი შეუძლოთ შეიქმნა, პირველად მის ცხოვრებაში. მოვიდა ექიმი, და რადგან ისე მოხდა, რომ მე პოლკოვნიკთან ვიყავი იმ დროს, მომიწია თარჯიმნობა ექიმსა და პოლკოვნიკს შორის. პოლკოვნიკი ამ დროს უკვე 82 წლის იყო, და მიუხედავად იმისა რომ იგი უკვე 30 წელი იმყოვებოდა საფრანგეთში, ფრანგულად ერთი სიტყვასაც არ ესმოდა.

ექიმი: — აბა ერთი ჰკითხე, ბევრს ხომ არა სვამს?

მე: — პოლკოვნიკო, ექიმს აინტერესებს, ბევრს ხომ არა სვამსო.

პოლკოვნიკი: — ვსვამ? ალკოჰოლს? არა მე არა ვსვამ ალკოჰოლს. მე მხოლოდ ღვინოს ვსვამ.

ექიმი:— გასაგებია. რამდენ ღვინოს სვამს?

პოლკოვნიკი:—ცოტ-ცოტას ვსვამ როგორც წესი.

ექიმი: — რას ნიშნავს ეს ,,ცოტ-ცოტა", ერთი ბოთლი დღეში? სამი ბოთლი? ხუთი?

პოლკოვნიკი: (აღშფოთებით) — რაო, ხუთი ბოთლიო? ბავშვი ხომ არა ვგონივარ?

ბევრი კამათის და შეპასუხების მერე გაირკვა, რომ რაც წლებში შევიდა, პოლკოვნილი დღეში რვა ბოთლ ღვინოზე მეტს აღარ სვამდა. ექიმმა გაოცება დამალა და გამოუწერა პოლკოვნიკს, რომ დღეში ოთხ ბოთლ ღვინოზე მეტი არ დაელია.

—,,მე რომ უფრო შევუზღუდო მას სმა, მოკვდება,"— მითხრა ექიმმა, —,,რადგამ მისი ორგანიზმი უკვე იმდენად არის შეცვეული ღვინოს!"

ეს იყო ფრაგმენტი რეჯებ ჟორდანიას წიგნიდან "მთელი ჩემი საქართველოები" (ინგლისურ ენაზე). ეს ტექსტი ყველას შეუძლია უფასოდ ჩამოტვირთოს ამ მისამართიდან: **https://www.smashwords.com/books/view/125916.**

ეს წიგნი ასევე შეიძლება შეიძინოთ თხელ გარეკანში ამაზონზე, მისამართზე: **Amazon.com**

ეს ტექსტი ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა ქართულ გაზეთში **"Georgia Today".**

ტექსტი ქართულად თარგმნა ავსტრალიაში მცხოვრებმა ქართველმა ეთნომუსიკოლოგმა, რეჯებ ჟორდანიას ნათესავმა, ასევე ლანჩხუთის (შუხუთის) ჟორდანიების შთამომნავალმა, იოსებ ჟორდანიამ.



მელბურნი, ავსტრალია, 8 ივნისი, 2017 წელი.

თვითმართველი თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი აცხადებს აუქციონს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები

№	დასახელება	მდებარეობა	საკადასტრო კოდი	მიწის ფართი კვმ	„ბე“ 10 % (ლარი)	„ბიჯი“ 5 % (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)
1	სასოფლო-სამეურნეო მიწა	105	26.25.11.157	411	16,44	8,22	50,00	164,40
2	სასოფლო-სამეურნეო მიწა	ცხემლისხიდი	26.20.18.149	38 300	1532,00	766,00	50,00	15320,00
3	სასოფლო-სამეურნეო მიწა	ზაილეთი	26.07.15.069	5 000	200,00	100,00	50,00	2000,00
4	სასოფლო-სამეურნეო მიწა	ზაილეთი	26.07.15.068	15 000	600,00	300,00	50,00	6000,00
5	სასოფლო-სამეურნეო მიწა	ლაითური	26.25.11.147	3 857	154,28	77,14	50,00	1542,80
6	სასოფლო-სამეურნეო მიწა	ლაითური	26.25.11.148	8 671	346,84	173,42	50,00	3468,40
7	სასოფლო-სამეურნეო მიწა	შრომა	26.02.23.130	3 700	148,00	74,00	50,00	1480,00
8	სასოფლო-სამეურნეო მიწა	წატაწები	26.01.53.204	49 800	12450,00	6225,00	50,00	124500,00
9	სასოფლო-სამეურნეო მიწა	ჭაწიეთი	26.15.13.054	2 000	80,00	40,00	50,00	800,00
10	სასოფლო-სამეურნეო მიწა	მერია	26.05.30.069	800	32,00	16,00	50,00	320,00
11	სასოფლო-სამეურნეო მიწა	მერია	26.05.29.081	1 300	52,00	26,00	50,00	520,00
12	სასოფლო-სამეურნეო მიწა	შრომა	26.34.01.297	205	410,00	205,00	50,00	4100,00
13	სასოფლო-სამეურნეო მიწა	გურიანთა	26.06.23.110	850	34,00	17,00	50,00	340,00
14	სასოფლო-სამეურნეო მიწა	ლიხაური	26.16.17.235	2 600	104,00	52,00	50,00	1040,00
15	სასოფლო-სამეურნეო მიწა	წასაკირალი	26.29.24.104	2 236	89,44	44,72	50,00	894,40

თვითმართველი თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი აცხადებს განმეორებით აუქციონს

№	დასახელება	რაოდენობა	მარკა	სახელმწიფო ნომერი	„ბე“ 10 % (ლარი)	„ბიჯი“ 5 % (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)
1	ავტომობილი, (სარემონტო)	1	საზ-3507	OO 936 ZZ	30	15	50,00	300,00
2	დარბაზის გახმოვანების სისტემა, (სარემონტო)	კომპლექტი			6,00	3,00	50,00	60,00

თვითმართველი თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი აცხადებს განმეორებით აუქციონს

№	დასახელება	მდებარეობა	საკადასტრო კოდი	მიწის ფართი კვმ	„ბე“ 10 % (ლარი)	„ბიჯი“ 5 % (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)
1	არასასოფლო-სამეურნეო მიწა	წატაწები	26.01.45.518	19 205	96025,00	48012,50	50,00	960250,00

თვითმართველი თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი აცხადებს აუქციონს მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონების იჯარით გაცემაზე

№	დასახელება	მდებარეობა	საკადასტრო კოდი	გასაქირავებელი ფართი კვმ	„ბე“ 10 % (ლარი)	„ბიჯი“ 5 % (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)	გასაქირავებელი ქონების ღირებულება(ლარი)
1	ფართი მუნიციპალურ საკ-ში არსებულ შენობაში	სოფ. შემოქმედი	26.18.14.153	33,40	33,40	16,70	50,00	334,00

აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;
საპრივატიზაციო თანხის დაფარვა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში;
აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განცხადება;
„ბე“-ს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში);
მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას (გარდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა) ქონების შემძენი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შემძენი შეიძლება იყოს კანონით განსაზღვრული პირი.

"მონაწილის ბილეთის საფასური შეტანილი უნდა იქნეს შემოსავლების ერთიან ანგარიშზე, შემდეგ სახაზინო კოდზე 300903205;
„ბე“-ს საფასური შეტანილი უნდა იქნეს შემოსავლების ერთიან ანგარიშზე, შემდეგ სახაზინო კოდზე: 300908800
დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემ მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიაში“; მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. 1 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა;
"აუქციონში მსურველთა განცხადებების მიღება მიმდინარეობს ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა, 2017 წლის 19 ივნისიდან 18 ივლისის 12 სთ-მდე;"

აუქციონი ჩატარდება 2017 წლის 18 ივლისს, 14 სთ-ზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შენობაში;
"ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემ მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისია“
ტელ: 599 704 770, 595 906 305, 599 333 223."

„რუსთაველი–850” – „რუსთაველის დღეები” ისრაელში

რუსთაველის საზოგადოების დელეგაციის ვიზიტი წმინდა მიწაზე

პოეტი დავით შემოქმედელი ჯვრის მონასტერში
რუსთაველის ფრესკასთან

4-9 ივნისს, ისრაელის მხარის მიწვევით, ისრაელის სახელმწიფოში რუსთაველის 850 წლისადმი მიძღვნილ „რუსთაველის დღეებზე“ მონაწილეობის მისაღებაად, წმინდა მიწაზე, მიწვეული იქნა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით:

.დავით შემოქმედელი – სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი. ქართული კულტურის დესპანი. დავით აღმაშენებლისა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატი. დელეგაციის ხელმძღვანელი.;.**გიორგი გოგოლაშვილი** – პროფესორი; **ლეილა ნოდია** – პროფესორი. ავტორი პუბლიცისტური წიგნებისა ისრაელ-საქართველოს ისტორიულ და კულტურულ ურთიერთობებზე. საერთაშორისო ორგანიზაცია „სახალხო დიპლომატია"ვიცე-პრეზიდენტი, სრულიად საქართველოს შოთა რუსთაველის საზოგადოების სპეციალური წარმომადგენელი ისრაელში.

ამ მეტად წარმატებული და ისტორიული ვიზიტის პირველ დღეს მეტად გულთბილი და დასამახსოვრებელისაპატიო მიღება გაიმართა ისრაელის სახელმწიფოში საქართველოს ელჩთან **პაატა კალანდაძესთან..**

დელეგაციის წევრებმა მოინახულეს კაცობრიობის კულტურისა და ცივილიზაციის, სულიერების ფესვის–მაცხოვრის, ღვთისმშობლისა და წმინდა გიორგის საფლავები,. ჯვრის მონასტერი - შოთა რუსთაველის ფრესკა. ნაზარეთი. გეთსიმანიის ტაძარი. წმინდა შემდეგ კი– მდინარე იორდანე.

მოინახულეს გოდების კედელი...

როგორც დელეგაციის ხელმძღვანელმა **დავით შემოქმედელმა** სატელეფონო საუბარში გვითხრა, ჰქონდათ სიყვარულით პირთამდე სავსე, თბილი, ამაღელვებელი, ცრემლებამდე მისული ემოციური შეხვედრები, რომლებიც ჩვენმა ქართველ-ებრაელმა დებმა და ძმებმა თბილისიდან ჩასულ დელეგაციის წევრებს მოუწყვეს .

„რუსთაველის დღეები“– სრულიად საქართველოს დელეგაციის სტუმრობა ისრაელში ოქროს ასოებით ჩაიწერება ისრაელისა და საქართველოს ისტორიაში, როგორც უნიკალური ფაქტი რუსთაველის პოპულარიზაციისა საქართველოს გარეთ, ასევე ორი დიდი ერის ისრაელისა და საქართველოს კულტურული ურთიერთობების ბრწყინვალე ნიმუში.

ისრაელისა და საქართველოს ისტორიული კულტურული ურთიერთობების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის დავით შემოქმედელი ისრაელის სახელმწიფოსაგან მადლობის სიგელით დაჯილდოვდა.

ვულოცავთ ბატონ დავითს ამ აღიარებას და ვუსურვებთ, კვლავაც ჩვეული ენერგიით ეღვაწოს ქართული კულტურის განვითარების საქმეში, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

„რუსთაველის დღეების“ დასკვნით საღამოზე, თელ-ავივის დიდ საკონცერტო დარბაზში დელეგაციის ხელმძღვანელმა, პოეტმა დავით შემოქმედელმა ვიზიტის დღეებში წმინდა მიწაზე დაწერილი, ორი დიდი ერის სულიერი მეგობრობისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა:

იერუშალაიმ, სული ტაძრების,
მოსემ შენს ქედზე დასცა კარავი,
ოქროსფერ სხივით აღიმართების
ხმა აღთქმულ მიწის გენის მფარავი.
წაკითხულია ყველა ბილინგვა,
სულში რომ ტოვებს ღვთიურ
სტრიქონებს,
თორას სიბრძნით და ზეციურ
სიბრძნით
ხსნა მუდამ არის, ძმებო, იცოდეთ!
სამყარო ცეცხლის ვულკანზე იწვის,
ღმერთო, რა რისხვა,რა უკუნია,
ჩვენ კი ამ ძმობის ნაჭედი ფიცით,
ვდგავართ 26 საუკუნეა.
აქ რუსთაველი ლოცვით გოდებდა,
აქ მიწა ღმერთის-სამყაროს ფესვი,
ჩემს სვეტიცხოვლის ზარების გუგუნს
ერთვის ტალღის ხმა იორდანესი.
იერუშალაიმ! - სული აკივლდა
ვარ თითქოს ამ ცხელ უდაბნოს მწირი,
და როგორც ტაძრის ბერი
დაღლილი,
გოდების მაღალ კედელთან ვტირი,
გტოვებ და სული მაღლდება ცასთან,
ამ ცრემლსიტყვებით მითრთის კალამი,
თუ დაგივიწყო,
თუ დაგივიწყო,
თუ დაგივიწყო,
იერუშალაიმ!!..

6 ივნისი. 2017 წელი. იერუსალიმი.

„ნიჭი მოვარდნილი ნიაღვარია“....

8 ივნისს ქოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრში, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეებისადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩატარდა, სახელწოდებით „ნიჭი მოვარდნილი ნიაღვარია“.... ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ ბავშვთა განყოფილების პროგრამების ხელ-ლი ქ-ნი მარინა გოგიტიძე, ამავე განყოფილების მთავარი სპეციალისტი ქეთევან გუბელიძე და რეჟისორი ვახტანგ ჩხარტიშვილი. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ლიტერატურის წრის (ხელ-ლი ნინო ცერცვაძე) მოსწავლეები, საესტრადო ჯგუფი „ნედლი სალამურები“ (ხელ-ლი ხათუნა მჟავანაძე), საჯარო სკოლების მოსწავლეები, ნორჩი პოეტები, პროზაიკოსები და მხატვრები,რომლებმაც თავიანთი შემოქმედება გაგვაცნეს. ღონისძიებას ამშვენებდა ასოციაცია „გურია“-ს ბენეფიციარების მიერ წარმოდგენილი მხატვრული ნომრები, თექის ხელნაკეთი თოჯინები და დეკორატიული ნივთები. ყველა მონაწილე საპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

12 ივნისს ქოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და მოსწავლე ახალგაზდობის ცენტრში, ქართული ხალხური საკრავების ჯგუფ „მარულა“-ს წლის შემაჯამებელი ღონისძიება ჩატარდა.

სახალხო ფილმი ექვთიმე თაყაიშვილზე

ალიონი. ორ წელზე მეტია მიმდინარეობს მხატვრული ფილმის „ექვთიმე თაყაიშვილის“ გადაღებები. გადამღებმა ჯგუფმა უკვე გაირა ყველა ის გზა,რომელიც ექვთიმე თაყაიშვილმა გადაკვეთა. ესაა ლიხაური, თბილისი, საგურამო, პარიზი, ლევილი და ა.შ. ამ ფილმში მთავარ როლს წარმოშობით ოზურგეთელი მსახიობი რეზო ჩხიკვიშვილი ასრულებს..

ფილმის გადაღებებისახალხო შემოწირულობებით მიმდინარეობს, რადგან, როგორც გადამღები ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა გვითხრა, კულტურის სამინისტრომ უარი განაცხადა აღნიშნული ფილმის დაფინანსებაზე. უკვე გადაღებულია 4 საათზე მეტი მასალა. მონტაჟის შემდეგ ფილმის ხანგრძლივობა 2 საათი და 10 წუთი იქნება.

გასულ კვირას საქველმოქმედო ფონდის „ერთსულოვნება და თანადგომა“ ინიციატივით (ფონდს ნათია ღაჟონია ხელმძღვანელობს) სოფელ ლიხაურში საქველმოქმედო საღამო გაიმართა, რომელიც ფილმისთვის შემოწირულობების შეგროვებას ისახავდა მიზნად. საღამოზე მოწვეული იყო გადამღები ჯგუფის წევრები: ნიკოლოზ ხომასურიძე - მთავარი რეჟისორი; სცენარისტი ლაშა კანკავა, რომელიც ფილმში გალაკტიონ ტაბიძის როლს ასრულებს; ანა ბარჯაძე , მირზა ჩხიკვიშვილი„ნიქსის“ფსევდონიმით ცნობილი ნიკოლოზ ბარტყულაშვილი.

ლიხაურლებს შემოწირულობების გაღების დიდი ტრადიცია აქვთ. ამას მოწმობს გასული საუკუნის დასაწყისში გამართული ალეგრო-საღამოები.

ამჯერად ლიხაურლებმა თანასოფლელებს თავიანთი ხელოვნება უჩვენს და პარალელურად მიმდინარეობდა შემოწირულობების გაღება. საღამოზე 2000 ლარი შემოვიდა, რომელიც გადამღებ ჯგუფს გადაეცა.

როგორც მირზა ჩხიკვიშვილმა გვითხრა, შემოწირულობების გამღები ლიხაურის საჯარო სკოლის პედაგოგები და ამ ღონისძიების დამსწრე მრავალი ლიხაურელი იყო.

ლიხაურის განვითარების ფონდმა კი ამ საღამოსთვის მხატვრული ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა მოაწყო. წარმოდგენილი იყო ,მხატვარ ავთანდილ თავართქილაძის, სხვა მხატვრების და ოზურგეთის სამხატვრო სკოლის მოსწავლეების ნამუშევრები, ასევე ადგილობრივი შემომქმედების ნაქარგობა, თვითნაკეთობანი. რამდენიმე ნამუშევარი გაიყიდა და შეემატა საერთო ყულაბას.

კიდევ ერთი ექსკლუზივი: უახლოეს დღეებში ფილმ „ექვთიმე თაყაიშვილის“ გადამღები ჯგუფი სოფელ ლიხაურში კვლავ ჩამოვა და ფილმის დარჩენილ 3-წუთიან მონაკვეთს -ექვთიმეს ბავშვობას გადაიღებენ. გადაღებებში ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის მსახიობები დაკავდებიან. ფილმში გამოყენებული იქნება ლიხაურის მომღერალ ქალთა გუნდის (ირმა გორდელაძე) ერთერტი სიმღერა. გადამღები ჯგუფის ინფორმაციით, მათი მომდევნო ფილმი „დიდგორის ბრძოლა“ იქნება.

13 ივნისის ტრაგედიის ამსახველი ფოტო გამოფენა

ალიონი. 13 ივნისს ქ. ოზურგეთში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტის სამსახურმა 2015 წლის 13 აპრილს ქ. თბილისში, ვერეს ხეობაში წყალდიდობის შედეგად დატრიალებული ტრაგედიის ამსახველი ფოტოგამოფენა მოაწყო.

ფოტოების ავტორი ოზურგეთელი სტუდენტი ი. მენაბდეა. ფოტოები ზემოთაღნიშნული სამსახურის დაფინანსებით დაიბეჭდა.ფოტოგამოფენა, აღნიშნული სამსახურის წინ, ქ. ოზურგეთში, ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე მოეწყო.

რელიგიები და ადამიანთა ადათ-ჩვევები

მსოფლიოში სადღეისოდ ოთხი ძირითადი რელიგია არსებობს: 1) ქრისტიანობა; 2) ისლამი; 3) ბუდიზმი და 4) ინდუიზმი; ბევრი ადამიანი ათეისტია.

კერძოდ, მსოფლიოში 2 მილიარდზე მეტი ქრისტიანია, ხოლო დაახლოებით - 1,27 მილიარდი მუსლიმანია, - 915 მილიონზე მეტი ინდუსი.

ათეისტთა რიცხვი კი 924 მილიონს აჭარბებს.

ძველი რელიგიები ადგილობრივ ტრადიციებსა და ბუნებასთან ძლიერი კავშირით გამოირჩეოდა.

ადამიანები უამრავ ღმერთსა და ქალღმერთს ეთაყვანებოდნენ.

ინდუიზმი

ერთ-ერთი უძველესი რელიგიაა. იგი 5 000 წელს ითვლის და ინდის ყველაზე განვითარებულ ცივილიზაციას უკავშირდება.

ძვ. წელთაღიცხვით 1500 წელს ასიელმა დამპყრობლებმა ინდოეთში თავიანთი მრწამსი გაავრცელეს, რომელიც ადგილობრივ რელიგიას შეერწყა - ასე შეიქმნა ინდუიზმი.

ინდუსებს სჯერათ რეინკარანციის, რაც იმას ნიშნავს, რომ გარდაცვალების შემდეგ სული სხვა სხეულში გადადის.

ინდუსის სულიერი ცხოვრების მიზანია გაწყვიტოს დაბადების, სიკვდილისა და ხელახალი დაბადების მოჯადოებული წრე და იხსნას სული.

ბუდიზმი

სინჰართა გოვინდა გაუტამა ბუდიზმის დამაარსებელია. ის ჩრდილო ინდოეთში - 2500 წლის წინათ დაიბადა. მოძღვრება, რომელსაც ბუდა ქადაგებდა, ინდოეთის საზღვრებს გასცდა და შორეულ აღმოსავლეთს მიაღწია. ყველაზე მეტი ბუდისტი ამჟამად ჩინეთშია, - 110 მილიონი. შემდეგ მოდის იაპონია, - 70 მილიონი და ტაილანდი - 52 მილიონი.

ბუდისტური კანონის ბორბალი განასახიერებს შობის, სიცოცხლის, სიკვდილისა და ხელახალი დაბადების ციკლურობას, საიდანაც თავის დაღწევა მხოლოდ ნირვანით არის შესაძლებელი (ნირვანა არის მდგომარეობა, როცა ადამიანური საჭიროება და სურვილები ქრება და ადამიანი ღმერთთან კავშირს ამყარებს).

ქრისტიანობა

ქრისტიანობა ისრაელში აღმოცენდა და სწრაფად გავრცელდა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 312 წელს, აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) იმპერატორმა კონსტანტინემ ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. მოგვიანებით, საბეჭდი დაზგის გამოგონებამ (1450 წ.), ბიბლია ხელმისაწვდომი გახადა ევროპელებისათვის.

ყოველი ქრისტიანისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია არ დაარღვიოს 10 მცნება.

ქრისტიანობა მსოფლიოში უდიდესი რელიგიაა (2 მილიარდი ადამიანი). მათი ნახევარი კათოლიკეა.

ახალი აღთქმის წიგნები ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის მე-2 ნახევარში დაიწერა. გადმოცემულია მაცხოვრის განკაცება, - მის მიერ აღსრულებული სასწაულები, ჯვარცმა, აღდგომა და ამაღლება. ახალი აღთქმა შედგება ოთი სახარებისაგან (მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს), მოციქულთა საქმეების, კათოლიკე ეპისტოლებისა და იოანეს გამოცხადებისაგან (აპოკალიფსი).

ისლამი

მუსლიმანებს სჯერათ, რომ ალაჰმა თავისი სიტყვა მუჰამედს გადასცა. მათი წმინდა წიგნი ყურანია. მუსლიმანებისთვის ყურანი ალაჰის გადმოცემული სრულყოფილი და საბოლოო სიტყვაა.

ისლამისტთა უმრავლესობა ახლო აღმოსავლეთში, აფრიკასა და აზიის ნაწილში ცხოვრობს.

ქრისტიანობის შემდეგ ისლამი მეორე ყველაზე დიდი რელიგიაა.

ძველი რელიგიების კვალდაკვალ, ახალი რელიგიები აღმოცენდა, რადგანაც ადამიანები, რთულ ცხოვრებისეულ კითხვებზე პასუხებს ეძებდნენ.

ბოლო დროს ბევრი ყველაზე ახალი რელიგია აღმოცენდა ინდოეთსა და აშშ-ში.

აქ ვამთავრებ ამ სტატიის წერას, რადგანაც ძირფესვეული განმარტებანი ძალიან შორს წაგვიყვანს.

მოამზადა
გურამ ცერცვაძემ.

„მერცხალი“ ბათუმის „დინამო 2“-თან დამარცხდა

ალიონი. ჩოხატაურის „ბახმაროს“ ბოლო ორ ტურში 6 ქულა აიღო და ერთპიროვნული ლიდერობა გაიმყარა. მე-12 ტურში მან ხონში „იმერეთი 2“ დაამარცხა 5:1, ხოლო შემდეგ ჩოხატაურში „სალხინოს“ სძლია 4:1 და 35 ქულა აქვს. რაც შეეხება „ლესიჭინეს,“ მან ბაღდადში ადგილობრივ „საირმესთან“ მარცხი განიცადა 0:4 და დაკარგა ამ ეტაპზე ლიდერობის შანსი– მას 31 ქულა აქვს და ბოლო ტურში შინ სწორედ „ბახმაროს“ მიიღებს.

მესამე ადგილზე „მაჭახელაა,“ რომელმაც მე-13 ტურში გათამაშების ცხრილში მე-4 საფეხურზე მყოფ „ტორპედო 2“ დაამარცხა -3: 1 და 29 ქულა აქვს.

ერთბაშად ორი საფეხურით წინ წაიწია ხულოს „ხიხანმა,“ რომელმაც სენაკში „ეგრისს“ სძლია 1:2 და ამჟამად 23 ქულით მე-5 საფეხურზეა. „მერცხალმა“ ვერ შეძლო მოგებების ციკლის გამყარება და საკუთარ მოედანზე ბათუმის „დინამო 2“-თან დამარცხდა 1:2. ბათუმელები 21 ქულით მე-7 ადგილს იკავებენ, ხოლო „მერცხალმა“ ამ წაგებით მეექვსედან მე-8 ადგილზე გადაინაცვლა.

ბათუმელებისთვის ეს მე-14 ტურის მატჩი იყო, ხოლო „მერცხალი“ 18 ივნისს, ბოლო ტურში ხულოში „ხიხანს“ შეხვდა.

იყიდება

იყიდება საცხოვრებელი სახლი, მოშენებული ეზოთი, ნინოშვილის ქ.№28, კლინიკის წინ. დაგვიკავშირდით, 591 71 90 80.

* * *

იყიდება კეთილმოწყობილი სამოთახიანი ბინა, კაპიტალური გარაჟით, რკინის ორმაგი კარით, ბუნებრივი გაზით და დამონტაჟებული კარმით, ბუნებრივი ცივი და ცხელი წყლით, არისტონის ცხელი წყლის ბაკით, კონდიციონერით, მუხის და მაკაგონის პარკეტით, სათავსო თაროებით, 2 აივნით. მუშაობს ლიფტი. მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქუჩა №2, 12-სართულიანი ბინის მე-6 სართული. ტელ. 555 34 54 65. ფასი შეთანხმებით.

სკანვორდი



№ 23-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — ზაირა თოთიბაძე; სკულპტურული ქმნილება — ძეგლი; მეცხრე ასობგერა — ი; სილამაზე — გრაცია; ქართველი მოჭადრაკე ქალი — არახამია; ქიმიური ელემენტი — კალა; დაბა ქარელის მუნიციპალიტეტში - აგარა; ჩანჩქერი ამერიკაში — ნიაგარა; ძველი, ძვირფასი ხივთი — ანტიკვარი; ხადალის მოფერებითი სახელი — რაფა; მდინარე კრაკოვში — ვისლა; ძეხვეული — სოსისი; ანალგაკფული ტყე — ანო; ქალაქი თურქეთში — ანკარა; ბუნრის თავი — კალამი; უმაღლესი საეკლესიო კრება — სინოდი; სენაკის საფეხბურთო გუნდი — ეგრისი; მდინარე აფრიკაში — ზამბეზი; ნიადაგის ტიპი — თიხნარი; ციხის ლეიბი — ნარი; არხეინად სიარული — რონინი; უმაღლესი სასწავლებელი — ინსტიტუტი; ქალის სახელი — ნია; ფრინველი — ალალი; ახალი — თაზა; კანადის დედაქალაქი — ოტავა; დიდი გორა — მთა; განთიადი — აისი; უარყოფა — არა; შემანილი ხარის გასადენად — ანი; ჭაობის მცენარე — ისლი; კონტინენტი — ანტარქტიდა; მეტროს სადგური თბილისში — ისანი; ნაცვალსახელი — იგი; ქალაქი საფრანგეთში — კანი; რაზეც სიმინდის მარცვალია — ტარო; უსიერი ტყეები ციმბირში — ტაიგა; უნგრული ავტომობილი — იკარუსი.

„ახალი ჩემპიონებიც უსათუოდ გვეყოლება. საამისოდ ყველაფერს გავაკეთებთ, შეუძლებელსაც კი შევძლებთ“

ნაუცბათევი ინტერვიუ გოჩა კვანტალიანთან

გასული კვირის სამშაბათს, წვერმაღალას სბავშო ბაღში მიმავალმა, გზად ოზურგეთის სპორტის სასახლეში იმ დროს შევიარე, როდესაც ჩემი მეგობარი, გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის დირექტორი **გოჩა კვანტალიანი** ა(ა)იპ-ის თანამშრომლებთან და მწვრთნელებთან თათბირს ამთავრებდა. კარის შეღებისას საკუთარი ყურით მოვისმინე ვლადიმერ ზურაბიანის სიტყვები, რომელიც, მწვრთნელების სახელით, მადლობას უხდიდა ხელმძღვანელს. სიტყვა, რომ არ გამიგრძელდეს, გოჩას მისამართით სამადლობელი სიტყვები ადრეც გამიგონია სხვა მწვრთნელებისაგან. მოკლედ, მწვრთნელები ამბობენ, რომ თუ მათ დღეს თავიანთ პროფესიულ საქმიანობაში არანაირი პრობლემა არ აქვთ, ეს, უპირველესად, გოჩას დამსახურებაა.

ამ ნაუცბათევი ინტერვიუს დაწყებამდე, მწვრთნელებმა მთხოვეს, რაც მოვისმინე, გაზეთის ფურცლებზე დამეფიქსირებინა, გოჩამ კი მითხრა, შენი საქმისა შენ უკეთ იცი, მაგრამ კარგი იქნება თუ სამადლობელის გარეშე გავალთო. რა თქმა უნდა, უპირატესობა მწვრთნელების თხოვნას მივანიჭე და ვფიქრობ, სწორად მოვიქეცი.

— გოჩა, რა საკითხები განიხილეთ, მედია რომ არ დაისწრით?

— ისეთი არაფერი, ჩვეულებრივი რიგითი თათბირი გვქონდა, როგორსაც კვირაში ერთხელ ვმართავთ და განვიხილავთ, რა გვჭირდება მომავალ კვირაში და რა უნდა გავაკეთოთ საამისოდ. როგორ გითხრათ, ვიკეგმებით, თადარიგს ვიჭერთ. ახლა, ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ თუ სოციალურ ფონზე, მთლად გალაღებული განწყობილება არ გვაქვს, მაგრამ ქალაქის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით, შეძლებისდაგვარად, ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ მაქსიმალური ხელშეწყობა ჰქონდეს მწვრთნელებს და მათ შეგირდებს. სხვათა შორის, გირეკავდი, ერთ ინფორმაციას ველოდი თქვენი გაზეთის ორშაბათის ნომერში, მაგრამ არ მიპასუხე.

— კარგია, რომ ასეთი მობილიზებული თანამშრომლები გყავს. გაფართოებული მეჩვენებით. რამდენი სექცია მუშაობს დღეს თქვენთან?

— ზოგიერთებისგან განსხვავებით, რიცხვი 13 თარსად არ მიმაჩნია, დღესდღეობით გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრში სწორედ 13 სექცია ფუნქციონირებს. აქედან წამყვანი ტრადიციულად ბერძნულ-რომაული ჭიდაობის სექციაა. ყველა სახეობაში მეტ-ნაკლებად გვაქვს სათქმელი, მაგრამ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მართლაც არნახული შედეგები გვქონდა, გვაქვს და გვექნება, რადგან შესანიშნავი თაობა მოდის. ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ოზურგეთული სკოლა კი ერთ-ერთი საუკეთესოა ქვეყანაში.

— თუმცა დღეს არ გყავთ ოლიმპიური ჩემპიონი.

— არ გვყავს, მაგრამ აუცილებლად გვეყოლება. ოზურგეთელ ოლიმპიურ ჩემპიონებს ვახტანგ ბლაგიძესა და მანუჩარ კვირკველიას შემოევლოთ ჩემი თავი, მაგრამ იმ პერიოდში არ გვყოლია ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის. დღეს კი გვყავს, მწვრთნელების ზურაბ და ვალერი ზურაბიანების აღზრდილი დავით ჩხარტიშვილი. რომელმაც შარშან მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო. ვამყობ, რომ ეს ჩემი ხელმძღვანელობის დროს მოხდა. დათო დღესაც ჩვენთან განაგრძობს ვარჯიშს და დარწმუნებული ვარ, კვლავ უმაღლეს შედეგებს დადებს. სხვა პერსპექტიული ბიჭებიც გვყავს, ვისგანაც არანაკლებ შედეგებს უნდა ველოდოთ.

— ჭიდაობაში ვიცი, რომ ვერავინ გიგებთ, მსოფლიო ჩემპიონთან ერთად, გყავთ საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებულები, საქართველოს ჩემპიონები და ასე შემდეგ, მაგრამ მხოლოდ ჭიდაობაში...

— ვინ გითხრათ, რომ მხოლოდ ჭიდაობაში? სპორტის სხვა სახეობაშიც ვერ შემახსენებთ ვერც ერთ შეჯიბრს, ვერც ერთ ტურნირს, საიდანაც ხელმოცარულები დავბრუნდით. აგერ, მკლავჭიდში გვყავს ევროპის ჩემპიონი დავით თენიეშვილი, მძლეოსნობაში კარტავცევის შედეგებიც იცით, ალბათ. სერიოზული შედეგები გვაქვს კიკბოქსინგში, რომლის მწვრთნელი და მოქმედი სპორტსმენი ლაშა ჭეფხოძე წლეულს საქართველოს ჩემპიონი გახდა. წარმატებით მუშაობენ კრივის, კალათბურთისა და სხვა სექციები. ჩვენი საქართველოს ჩემპიონები და პრიზიორები რომ ჩამოგითვალო, სხვა კითხვის დასასმელად დრო აღარ დაგრჩება.

— კარგია, რომ შემახსენე, დრო მართლაც აღარ დამრჩა. გატყობ, ძალიან კმაყოფილი ხარ.

— რატომ არ უნდა ვიყო? მადლობელი ვარ ჩემი მწვრთნელებისა და მათი შეგირდების. მართლაც, კარგი შედეგები აქვთ, მართალს გეტყვით, ზოგიერთი შედეგი მოულოდნელიც კი იყო ჩემთვის, მაგრამ ვინც მიცნობს, კარგად იცის, რომ მაქსიმალისტი ვარ და მეტი მინდა, მეტი! წინ კიდევ მთელი ნახევარი წელიწადია და ყველანაირად ვეცდებით, შედეგები კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახდეს. ახალი ჩემპიონებიც უსათუოდ გვეყოლება. საამისოდ ყველაფერს გავაკეთებთ, შეუძლებელსაც კი შევძლებთ, რასაკვირველია, ქალაქის ხელმძღვანელობის — ქალაქის მერის ბეგლარ სიორიძის, ვიცე-მერის ალეკო ბურჭულაძისა და საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მარიკა ნაცვალაძის მხარდაჭერითა და დახმარებით. არ მქონია ისეთი შემთხვევა, არ ყოფილა ისეთი საკითხი, მათგან უარი მიმეღო და გაწბილებული წამოვსულიყავი, ყოველთვის მაქსიმალურ მხარდაჭერას ვგრძნობდით, რომ არა მათი დიდსულოვნება, მხარდაჭერა, ფინანსური თუ სხვა სახის დახმარება, დღეს ასეთ კარგ შედეგებზე არ გვექნებოდა საუბარი. სხვათა შორის, ეს მხოლოდ ჩემი აზრი არ არის, ამას კარგად გრძნობდნენ და გრძნობენ ჩემი მწვრთნელები და მათი აღსაზრდელებიც.

— გოჩა, გარეთ მელოდებიან უნდა გავიქცე, წვერმაღალას სბავშვო ბაღს პირველი გამოშვება აქვს, ჩამოვალ-მეთქი, სიტყვა მაქვს მიცემული. მომავალ კვირაში შემოგივლი.

— ჰო, შენ სულ გადარბენაზე ხარ. კარგს იზამ, თუ შემოივლი.

ესაუბრა **თემურ მარშანიშვილი**

შშმ პირთა გურიის მესამე რეგიონული ტურნირი

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრში განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა შორის გურიის ჩემპიონატი სპორტის ოთხ სახეობაში: ჭადრაკში, შაშში, ნარდსა და მკლავჭიდში ჩატარდა. ჩემპიონატში მონაწილეობა გურიის ოთხივე მუნიციპალიტეტში, მათგან ქალაქ ოზურგეთში მცხოვრებმა 8 შშმ პირმა მიიღო.

ღონისძიებას გურიის მხარის გუბერნატორის მოადგილე ქეთევან მოისწრაფეშვილი, ქალაქ ოზურგეთის მერის მოადგილე კობა დუნდუა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

გურიის ჩემპიონატის გამარჯვებული ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გუნდი გახდა.

საპრიზო ადგილების მფლობელები სპეციალურად დაწესებული პრიზებით, სიგელებითა და დიპლომებით დაჯილდოვდნენ.

გურიის რეგიონული ჩემპიონატი საქველმოქმედო ასოციაცია „გურიას ‘’ ორგანიზებით წელს უკვე მესამედ ჩატარდა. ღონისძიების ფინანსური მხარდამჭერია გურიის ოთხივე მუნიციპალიტეტი, გურიის მხარის ოლიმპიური კომიტეტი და შპს .. გლობალ ექსპორტი’’.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

9-12 ივნისს ქ. თბილისში გაიმართა ოლიმპიური ჩემპიონისა და მსოფლიო სამგზის ჩემპიონის გივი კარტოზიას სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბ/რ ჭიდაობაში, რომელიც თავისი სიძლიერით მსოფლიოს მცირე ჩემპიონატსაც უტოლდება. მონაწილეობდა 17 ქვეყნის ნაკრები გუნდი. აღნიშნულ ღონისძიებაში ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის აღზრდილმა **ოური ლომაძემ** 71კგ წონით კატეგორიაში მესამე ადგილი დაიკავა.

(მწვრთნელები **ირაკლი და ზურაბ ზურაბიანები.)**

საერთაშორისო ტურნირი კარატეში

ქ. ბათუმში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი კარატეში „ქ. ბათუმის მერიის მუნიციპალიტეტის თასის გათამაშება საერთაშორისო ფესტივალზე აღმოსავლურ ორთაბრძოლებში“, რომელშიც მონაწილეობას 6 ქვეყნის 400-ზე მეტი სპორტსმენი ღებულობდა.

აღნიშნული ტურნირი წარმატებული გამოდგა ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის „შოტოკან კარატე-დო“-ს გუნდისთვის და მათ ჯამში 4 მედალი მოიპოვეს. 8-9 წლის ასაკის მონაწილეთა შორის (+22კგ) ჩემპიონი **თორნიკე პოღოსიანი** გახდა.

6-7 წლის ასაკის მონაწილეთა შორის (+22კგ)-**ლუკა ვანაძე** ბრინჯაოს პრიზიორი.

14-15 წლიოს ასაკი მონაწილეთა შორის (-60კგ) მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა **ნიკა დარჩია, გიორგი მამინაშვილი** კი ბრინჯაოს პრიზიორი გახდა.

გუნდი მადლობას უხდის ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის დირექტორს გოჩა კვანტალიანს მხარდაჭერისათვის.

უფასო განცხადება ტალონი

90 ბეჭდვითი ნიშანი უფასოდ!

ძვირფასო მკითხველო, გაზეთი „ალიონი“ გთავაზობთ სერვისს „უფასო განცხადების ტალონი“, რომლის მოცულობა შეადგენს 90 ბეჭდვით ნიშანს და იგი თქვენი საჩუქარია.

90 ბეჭდვით ნიშანზე გადაცილებული ყოველი სიტყვისათვის გადასახდელი გექმებათ მხოლოდ 25 თეთრი.

გაზეთიდან ამოჭრილი და შევსებული ტალონი შეგიძლიათ წარმოადგინოთ რედაქციაში, გაბრიელ ეპისკოპოსის №3-ში.

უფასო განცხადების ტალონი ბეჭდვით მედიასაშუალებებში საქმიანი განცხადებების გამოქვეყნების ყველაზე იაფი საშუალებაა.

ისარგებლეთ ჩვენი მომსახურებით.

7 დღის ამინდის პროგნოზი

19 ივნისი, ორშაბათი	20 ივნისი, სამშაბათი	21 ივნისი, ოთხშაბათი	22 ივნისი, ხუთშაბათი	23 ივნისი, პარასკევი	24 ივნისი, შაბათი	25 ივნისი, კვირა
მზე, ღრუბელი +17+26	წვიმა +14+21	წვიმა 14+20	წვიმა +12+22	მზე ღრუბელი +13+20	ღრუბელი +12+18	წვიმა +13+18

მხიარული სტარტების ბოლო აკორდები

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის კვირეული „ჯანსაღი თაობა ჩვენი მომავალია“, როგორც მოსალოდნელი იყო, რეზონანსული გამოდგა. კვირეულის ეგიდით „მხიარული სტარტები“ გაიმართა სოფელ ნატანების საბავშვო ბაღში, ასევე სოფელ შრომის №1 და №2 საბავშვო ბაღებში.

ნატანების საბავშვო ბაღში გამართულ „მხიარულ სტარტებში“ ორივე გუნდი გამარჯვებულად გამოცხადდა

ნატანების საბავშვო ბაღმა „მხიარულ სტარტებში, „ცეროდენასა“ და „ონავრების“ სახით ორი თანაბარი სიძლიერის გუნდი გამოიყვანა. თავიდანვე ჩანდა რომ გუნდები ერთმანეთს არაფერს დაუთმობდნენ. მეტად დაძაბულ პაექრობაში ხან „ცეროდენელები“ ყოჩაღობდნენ, ხან კიდევ „ონავრები“ იღებდნენ სრულყოფილ რევანშს. ორივე გუნდმა მომზადების საკმაოდ მაღალი დონე აჩვენა და საბოლოოდ, ჟიურის გადაწყვეტილებითორივე გამარჯვებულად გამოცხადდა.

გუნდების შემადგენლობა კი ასეთი იყო:

„ცეროდენა“ – ანასტასია პრიზოვსკაია, ანდრია ნადირიძე, ომარ გორდელაძე, ანდრია პატარავა, ია თოიძე, ელენე კუტალაძე, ელისაბედ კვაჭანტირაძე, მარი თოიძე, ზურა მიქატაძე, ელენე თავაძე, ელენე ზირაქაძე, მარი ბაჯელიძე, ნიკოლოზ თავაძე, მარი ზირაქაძე, ნიკოლოზ ანდღულაძე, ბარბარე კვიჟინაძე.

„ონავრები“ – ანასტასია მაჩიტაძე, მარიამ ცეცხლაძე, მარი მუშკუდიანი, ნიკო ნაკაიძე, ნია კოშაძე, ოთო კუტალაძე, ბარბარე ტულუში, ნინი ხელაძე, რეზი იმნაძე, ქრისტინა ხურციძე, ვანო ცქვიტინიძე, ერეკლე დარჩია, ალექსანდრე ხომერიკი, ანა კვაჭანტირაძე, ნიკოლოზ კილაძე.

მენეჯერი – თეა სამხარაძე, აღმზრდელები – ია თოიძე, ია ბაჯელიძე

წვერმაღალას ახალმა საბავშვო ბაღმა პირველი გამოშვება ზეიმით აღნიშნა

წვერმაღალას ახალმა საბავშვო ბაღმა, რომელიც „ქართუ ბანკის“ დაფინანსებით აშენდა, 13 ივნისს პირველი გამოშვება საზეიმოდ აღნიშნა.

საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა კომპოზიციურად მეტად საინტერესო სცენარს კარგად გაართვეს თავი და პირობითი მატარებელი №444-ით ჩვენი ქვეყნის ყველა რეგიონი წარმოადგინეს სლოგანით „ჩვენ საქართველოს მომავალი ვართ“. შესაბამისი ქორეოგრაფიული და მუსიკალური ნომრებით გაჯერებულ ღონისძიებას, რომელიც თითქმის ერთ საათს გაგრძელდა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის წარმომადგენლობასთან ერთად, ესწრებოდნენ სტუმრები აჭარიდან – ქალაქ ბათუმის მერიის სკოლამდელი საგანმანათლებლო-საალმზრდელო ცენტრის ხელმძღვანელები.

ერთი სიტყვით, მატარებელი №444-ით საქართველო შემოგვატარეს აღსაზრდელებმა: თამაზ ასანიძემ, გაბრიელ ბერიძემ, ლევან ბერიძემ, მათე დვალიშვილმა, ნიკოლოზ ვარშანიძემ, გიორგი ზუბაშვილმა, გვიკო იაკობაშვილმა, ალექსანდრე კიკვაძემ, ზაურ კვინიკაძემ, ლიზი კვინიკაძემ, მათე მოდებაძემ, ემილ მიშველიძემ, გიორგი მეფარიშვილმა, კარლო ქისტაურმა, ლიანა ქისტაურმა, ნათია ქალიაშვილმა, ლუკა ჩიტაძემ, ია ჩიტაძემ, ანა ჩხიტუნიძემ, ნიკა ცერცვაძემ, ანი ცერცვაძემ, ანასტასია ცხვარაძემ. საბავშვო ბაღის მენეჯერია ირმა ცინცაძე, პირველი სმენის აღმზრდელი – სვეტლანა ვატტერ ტულუში, მეორე სმენის აღმზრდელი – ნათია ალავიძე, ძიძა – ელისო ჭუმბურიძე.

შრომის №1 საბავშვო ბაღშიც ორი პირველი გუნდი აღმოჩნდა

მეტად ემოციურ გამოდგა „მხიარული სტარტები“ სოფელ შრომის №1 საბავშვო ბაღში, სადაც ერთმანეთს „მერცხალი“ და „თოლია“ გაეჯიბრნენ. გამარჯვებისათვის არც „მერცხალის“ ჭიკჭიკი დარჩა საკმარისი და არც „თოლიას“ ფრთების ტლაშუნი ზღვის ტალღებზე. თუმცა, ორივე გუნდმა საკმაოდ რთულ ნომინაციებში კარგი ფიზიკური მომზადება და საზრიანობა გამოიჩინა და სავსებით დამსახურებულად თანაბრად მოიპოვა დამსწრე საზოგადოების აპლოდისმენტები.

გუნდი „მერცხალი“: დათო ხვედელიძე, ნუცა ხვედელიძე, გიორგი ბოლქვაძე, ნინი ლომაძე, ლუკა კუბუსიძე,, ნინი ჩხაიძე, ანასტასია სარალიძე, მარიამ გელოვანი, ნია შეყლაშვილი, ნინი მაფორია, სალომე ზოიძე, ნიკოლოზ ფუტკარაძე.

გუნდი „თოლია“: ანდრია ასანიძე, ბარბარე ჩადუნელი, მარიამ გოგაძე, ოთარ ლომაძე, თეა აბაშიძე, ელენე მაისურაძე, ნიკა ჯულაყიძე, მარიამ შევარდნაძე, სალომე დევაძე, ნია აბაშიძე, გვნადი ჭოიძე, ბარბარე ჩაფიძე.

მენეჯერი – ნონა ქადეიშვილი, აღმზრდელები – ნონა ხომერიკი, თეა გიორგაძე

შრომის №2 საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს არასოდეს დაავიწყდებათ თავიანთი პირველი „მხიარული სტარტები

„მხიარულმა სტარტებმა“ დიდი სიხარული მიანიჭა სოფელ შრომის №2 საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს. აქ „მერცხლებმა“ და „ციცინათელებმა“ მოსინჯეს ძალები. ორივე გუნდმა კარგი ფიზიკური მონაცემები გამოავლინა, ორივე ბოლომდე ერთგული დარჩა გუნდური და ინდივიდუალური პრინციპებისა. აჩვენეს, რომ პაექრობაც ღირსეული შეუძლიათ და მეგობრობაც. გავა დრო, დაფრთიანდებიან ფრთებშებუსული პატარა „მერცხლები“, ნათებას უფრო ძლიერად განაგრძობენ „ციცინათლები“, მაგრამ ამ გუნდების წევრებს არასოდეს დაავიწყდებათ ეს დღე.

„მერცხლები“: დიტო სარქისიანი, გიორგი შაინიძე, მარიამ ქადეიშვილი, გიორგი ქარცივაძე, ბარბარე კარაგეზიდი, ცოტნე ცირდავა, გიორგი ხიმშიაშვილი, ნოდიკო იმნაიშვილი, საბა კაპანაძე.

„ციცინათელები“: ლიზი ცეცხლაძე, სალომე გაგუა, თათია კვინიკაძე, ნინო თოიძე, გიორგი მელქონიანი, ნიკოლოზ აბაშიძე, გიორგი კირკიტაძე, ჯაბა ზოიძე, თემურ ხომერიკი, ნიკა მალაზონია.

მენეჯერი – ია ბაბილოძე, I ცვლის აღმზრდელი – თამარ ხომერიკი, II ცვლის აღმზრდელი – სოფო კვაჭანტირაძე.

№3 ბაღის აღსაზრდელები ქუჩაში მოძრაობას წესებს იცავენ და სხვებსაც აცვევინებენ

ქალაქ ოზურგეთის №3 საბავშვო ბაღის აღსაზრდელები ქუჩაში მოძრაობას არეგულირებენ. საბავშვო ბაღისა და საპატრულო პოლიციის ერთობლივ ღონისძიებაში, რომელიც ხსენებული საბავშვო ბაღის შენობაში ჩატარდა, უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველმყოფი სპეციალისტების ყველა სირთულის შეკითხვას უშეცდომოდ უპასუხეს საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა. გარდა თეორიული ცოდნისა, ბავშვებმა, ჭავჭავაძის პროექტის მაკეტის მაგალითზე, კარგი პრაქტიკა გამოავლინეს და საბავშვო ელექტრომობილების ტარების ვირტუოზული ტექნიკაც აჩვენეს, მეტიც, რაღაც-რაღაცებში დამსწრე საზოგადოების რამდენიმე წარმომადგენელი „ჩაჭრეს“.

იმიტაციურ სანახაობით ღონისძიებაში მონაწილეობდნენ აღსაზრდელები: გურამ ანდღულაძე, ლუკა გოგუაძე, ილია დოლიძე, შოთი მეხუზლა, გიორგი მეგრელიშვილი, ელისაბედ მაღლაფერიძე, სანდრო ტრაპაიძე, გიორგი ირემაძე, გიორგი ქარცივაძე, სესილი შარაძე, გურამ ხომერიკი, შალვა ხელაძე, შოთი თავდგირიძე, ნატალია კვაჭანტირაძე, ლიზი მამეიშვილი, ანდრია ჯაფარიძე, ლექსო გოგოლაშვილი, ირაკლი შეწირული, ელენე აბულაძე, ნატალია ქარცივაძე, ნიკოლოზ გოგოტიშვილი, გიორგი დანელია, ზურა ვაშალომიძე, თაკო კვაჭანტირაძე, თეკლა კეკელიძე, თაკო შეწირული, ნინო ვადაჭკორია.

საბავშვო ბაღის მენეჯერია ნანა ტოტოჩავა; აღმზრდელები – ნათია კილაძე, ნონა ღლონტი; აღმზრდელის თანაშემწე – მანანა რამიშვილი; მეთოდისტი – ნაირა ლომთათიძე, ლოგოპედი – მედიკო კეკელიძე, ფსიქოლოგი – ირმა სანიკიძე.

ლიხაურის საბავშვო ბაღიდან 28 ციცინათელა საჯარო სკოლაში გადაინაცვლებს

ხომ არ არ არის დრო ამ ბაღს საბავშვო აკადემია ეწოდოს?

საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო სოფლის – ლიხაურის საბავშვო ბაღიდან ამავე სოფლის საჯარო სკოლაში 28 ციცინათელა გადაინაცვლებს. ამის შესახებ საბავშვო ბაღის მენეჯერმა ნათია გობრონიძემ განაცხადა ჯგუფ „ციცინათელას“ გამოსაშვებ საღამოზე, რომელიც, ჩვენი და საკმაოდ მრავალრიცხოვანი დამსწრე საზოგადოების აზრით, იმდენად აკადემიურად წარიმართა, რომ ერთი უცნაური, მაგრამ სავსებით ლოგიკური აზრი აგვეკვიატა: ხომ არ აჯობებს, უფრო სწორად, ხომ არ არ არის დრო ლიხაურის საბავშვო ბაღს საბავშვო აკადემია ეწოდოს. ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ ვხუმრობთ. რატომაც არა?! ლიხაურის საბავშვო ბაღი მართლაც იმსახურებს ამ წოდებას, თუკი საერთოდ დაწესდება ასეთი.

ფლეშ მობი თეატრალურ მოედანზე

ალიონი. მაის-ივნისში ქალაქ ოზურგეთის საბავშვო ბაღებში ჩატარებული საგზაო უსაფრთხოების სწავლების დღეები 15 ივნისს თეატრალურ მოედანზე გამართული ფლეშ მობით დამთავრდა. რვავე საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა თანამედროვე სამეჯლისო და სპორტული ცეკვებით წარმოაჩინეს თავიანთი ქორეოგრაფიული მონაცემები და დამსწრე საზოგადოების მოწონება და აპლოდისმენტები დაიმსახურეს.

როგორც ქალაქ ოზურგეთის სკოლამდელი სასწავლო-საალმზრდელო ცენტრის ხელმძღვანელმა ეკა ნინიძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, საბავშვო ბაღებში საგზაო უსაფრთხოების სწავლების დღეების ჩატარების მხარდამჭერები იყვნენ ქალაქის მერია, საპატრულო პოლიცია და იდეის ავტორი გაზეთი „გურია ნიუსი“.